F1294
1921

ხელნაწერის უფლებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავისუფალი საქართველო

№ 6. 20 აგვისტო, 1921 წელი. № 6.

ევროპა და საქართველოს საკითხი.

«ზოგი ჭირი მარგებელიაო» იტყვიან.

საქართველოს საკითხი არასოდეს არ ყოფილა ისე პოპულიარული ევროპის ხალხთა ფართო წრეებში, როგორც დღეს არის და ამის მთავარი საბაბი შეიქნა რუსეთის საბჭოთა მთავრობის თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე.

ამავე დროს საბჭოთა მთავრობის არც ერთ ნაბიჯს საგარეო პოლიტიკის სფეროში არ მოუტანია იმოდენა ზიანი საბჭოთა რუსეთის პრესტიჟისათვის საზღვარ-გარეგ, არც ერთ მის ნაბიჯს არ უთამაშია ასეთი დიდი როლი საბჭოთა მთავრობის ნამდვილ ბუნების საჯაროთ გამოაშკარავებაში, როგორც ამ თავდასხმას. ვერ ნახავთ ვერც ერთ სხვა საკითხს, რომელსაც ასეთის ერთსულოვნობით შემოეკრიბოს თავის გარშემო დემოკრატიულ და არადემოკრატიულ ევროპის საზოგადოებრივი აზრი, მისი სიმპატიები, როგორც ეს მოხდა საქართველოს ოკუპაციის საკითხში. ამ საკითხში ერთი აზრი სუფევს ინგლისში და ევროპის წვრილ სახელმწიფოებში, გერმანიაში და საფრანგეთის ყველა წრეებში, სოციალისტურსა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარტიებში, ბერნის თუ ვენის ინტერნაციონალში, პაციფიურ თუ მილიტარისტურ წრეებში.

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს საკითხში მებაირახტრეობა მუშათა კლასმა იკისრა.

«საქართველოს თავისუფლება არის ჩვენი თავისუფლება» აცხადებს გერმანიის მეუმრავლესე სოც.-დემოკ. პარტია, უდიდესი და უძლავრესი პარტია გერმანიაში, რომელიც მთავრობაშიაც მონაწილეობს. გერმანიის მეორე უდიდესი სოც. პარტია «ერთხმად და ერთსულოვნად იზიარებს საქართველოს სოც.-დემოკრატიის თვალსაზრისს». ბელგიის პარტია—უძლიერესი თავის სამშობლოში—რომელმაც ტრიუმფით მიიღო ჩვენი თავმჯდომარე, აღგვითქვამს, «რომ ბელგიის მუშები საქართველოს საკითხს გაიხდიან თავის საკუთარ საქმეთ და მთელი თავისი ძალღონით იმოქმედებენ მის აღსადგენად». 5 მილიონ ინგლისის მუშების ორგანიზაცია ერთხმად მოითხოვს საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანას. ასეთივე ერთსულოვნობით ესარჩლებიან საქართველოს საქმეს ფრანგი სოციალისტები. თვით იტალიის სოციალ. პარტია, რომელიც უკანასკნელ დრომდე მოსკოვის ინტერნაციონალში შედიოდა და მისი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ქედს იხრის უძლეველ ფაქტების წინაშე და ემხრობა საერთაშორისო პროლეტარიატის ხმას საქართველოს საკითხში. ვენის ინტერნაციონალური ორგანიზაცია, რომელიც აქამდე მორიდებით ეპყრობოდა მოსკოვს და რომელიც ასე იშვიათად უერთდებოდა მეორე ინტერნაციონალის ხმას, ენერგიულათ და გადაჭრით აცხადებს საქართველოზე თავდასხმას მილიტარისტულ ნაბიჯათ და მოითხოვს საქართველოდან უცხო ჯარების გაყვანას. ამნაირად, საქართველოს საკითხის გარშემო დადუმდა პარტიათა შორის უთანხმოება და მთელი სოციალისტური და მუშური ევროპა მწყობრათ დაირაზმა, და საერთო ლიქინა დასძახა: «გაიყვანეთ საოკუპაციო ჯარები, გაანთავისუფლეთ საქართველო!»

საქართველოს საკითხმა არამც თუ მთელი სოციალისტური ევროპა შეათანხმა და ერთ რიგში ჩააყენა, არამედ თვით ევროპის კომუნისტურ წრეებშიაც არევ-დარევა და დემორალიზაცია შეიტანა. ისინი, ვინც თებერვალში და მარტში მოსკოვის შთაგონებით და კარნახით საქართველოზე თავდასხმას ესარჩლებოდენ და მის გამართლებას ცდილობდენ, იძულებული გახდენ ანგარიში გაეწიათ უძლეველი ფაქტე-

F 8343

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბისათვის, ანგარიში გაეწიათ მთელი ევროპის მუშათა კლასის ერთსულოვან პროტესტისათვის და ან ხმა გაეკმიდათ, როგორც ეს საფრანგეთის კომუნისტებს მოუვიდათ, ან აშკარად მიმხრობოდენ სოციალისტურ პროლეტარიატის ხმას, როგორც ეს ინგლისის ზოგიერთმა კომუნისტურმა ელემენტებმა ჩაიდინეს.

საქართველოს საკითხის გარშემო სოციალისტურ და პროლეტარულ ევროპის ერთსულოვნათ დარაზმვა მარტო მორალური საზომით არ განიზომება. ინგლისის მუშათა პარტიის თაოსნობით საკითხს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა მიეცა. ამ პარტიის დავალებით მისმა წარმომადგენელმა, საქართველოში კარგად ცნობილმა მაკდონალდმა ოფიციალურად მიმართა კრასინის საშუალებით რუსეთის საბჭოთა მთავრობას და უკანასკნელს «მუშათა პარტიის» მიერ მიღებულ რეზოლიუციაზე საჩქარო პასუხი მოსთხოვა. საერთაშორისო პროლეტარიატის პრაქტიკულ ნაბიჯს საქართველოს საკითხში საფუძვლად დაედო თფილისში სოციალ-დემოკრატიულ ყრილობაზე (10 აპრილს) წამოყენებული წინადადება: არჩეულ იქნას ევროპაში პარიტეტული კომისია სოციალისტებისა და კომუნისტებისაგან და ამ კომისიის კონტროლის ქვეშ გატარდეს თავისუფალი სახალხო არჩევნები საქართველოში, რომლის შედეგების თანახმად უნდა მოეწყოს ქვეყნის ბედ-იღბალი. ამ წინადადებას შეუერთდა ევროპის სოციალისტები და პროფესიონალური ორგანიზაციები, ეს წინადადება ერთხმად მიიღო ივლისის დამლევს კოპენჰაგენში შეკრებილ 11 ქვეყნის პარტიათა წარმომადგენლებმა. და არა თუ მიიღო, კომისიაც აირჩია თავის მხრივ მის განახორციელებლათ. და როგორც «ფორვერტსი» სწერს, სიტყვა ეხლა საბჭოთა მთავრობას ეკუთვნის.

ჩვენ თავს არ ვიტყუებთ. მოსკოვის პასუხის შესახებ. ჩვენ არ მოველით, რომ მოსკოვის იმპერიალისტებმა მსოფლიო დემოკრატიის ერთსულოვან მოთხოვნას სათანადო ანგარიში გაუწიონ. მარა მით უარესი მათთვის. მათი მორალური და საზოგადოებრივი ვაკოტრება კიდევ უფრო გამოააშკარავდება და მათი დაცემის ღღე მოახლოვდება. ბოლშევიზმი აქ პირდაპირ ჩიხშია მიმწყვდეული ამ წინადადებით. დაეთანხმება—წააგებს, არ დაეთანხმება მაინც წააგებს. ორივე შემთხვევაში ევროპიელი ჩვენი ამხანაგების ნაბიჯს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის.

მარა, როგორც ჩვენ ვიცით, საქმე ამით არ თავდება. ევროპის მუშათა პარტიებს გადაწყვეტილი აქვთ საქართველოს საკითხი ოფიციალურ პოლიტიკაშიაც სადღეისო საკითხად გახადონ. იტალიის პარლამენტში უკვე გაისმა სოციალისტურ პარტიის ხმა ჩვენი ქვეყნის სასარგებლოთ. კიდევ მეტის ენერგიით წამოაყენებენ ჩვენ საკითხს გერმანიისა და ინგლისის მუშათა პარტიები,—ის პარტიები, რომელთაც უდიდესი გავლენა მოეპოებათ თავიანთ ქვეყნებში. ამნაირად, ის კამპანია, რომელსაც დღეს ასე ენერგიულათ და ერთსულოვნათ აწარმოებს საერთაშორისო სოციალისტური დემოკრატია, მკვიდრ ნიადაგს უმზადებს საქართველოს საკითხის ევროპის საერთაშორისო პოლიტიკის სადღეისო პრაქტიკულ საკითხათ დასმას. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ევროპის ოფიციალური წრეებიც არამც თუ სიმპატიით ეპყრობიან საქართველოს საკითხს, არ ამედ მხოლოდ დემოკრატიულ მთავრობას სცნობენ საქართველოს მთავრობათ, ჩვენთვის აშკარა იქნება, რომ ჩვენი საკითხის პრაქტიკულად წამოყენება ახლო მომავალში სულ ადვილი მოსალოდნელია.

რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა, ბოლშევიკების ძალა-უფლების საფუძვლიანად შერყევაზეც რომ არ ვილაპარაკოთ, აიძულებს მის მესვეურთ განსაკუთრებული ანგარიში გაუწიონ ევროპის მთავრობათა ტ განსაკუთრებით ხალხთა ხმას. არასოდეს რუსეთის ბედი, თვით მისი ხალხის ფიზიკური არსებობა არ ყოფილა იმდენათ დამოკიდებული ევროპის ოფიციალურ და არა ოფიციალურ წრეების დახმარებაზე, როგორც დღესაა. ამ პირობებში, ორიგზით, ოფიციალურით და არა ოფიციალურით წარმოებული კომპანია საქართველოს განთავისუფლებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და წონას იღებს.—კიდევ მეტი: ხვალ რომ ბოლშევიკური მთავრობა დაემხოს, რა ხასიათისა და ფერისაც უნდა იყოს მისი მემკვიდრე, ის იძულებული იქნება, რუსეთის დღევანდელი პირობების გამო, დიდი ანგარიში გაუწიოს ევროპის მთავრობათა და ხალხთა ნებას.

ერთი სიტყვით, სოციალისტურ პროლეტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციატის ინიციატივით საქართველოს საკითხი ევროპიულ სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკის სადღეისო საკითხად ხდება, საქართველოს განთავისუფლების ჟამი ახლოვდება და ჩვენი ქვეყნის მომავალს მკვიდრი ნიადაგი ეყრება.

ვიმეორებთ, არასოდეს საქართველოს საკითხი არ ყოფილა ისე პოპულიარული ევროპაში, როგორც დღეს. და ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენს სადღეისო გამანთავისუფლებელ ბრძოლისათვის, არამედ მკვდრეთით აღდგენილ დემოკრატიულ საქართველოს მომავლისათვისაც. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აუცილებლობის იდეა იმდენად შესისხლხორცებული აქვს დღეს ევროპის ოფიციალურ და არა ოფიციალურ წრეებს, რომ განთავისუფლებულ საქართველოს ბედი მომავალში გაცილებით უფრო მკვიდრ საერთაშორისო ნიადაგზე იქნება აშენებული, ვინემ აქამდე იყო.

ეს უნდა გაითვალისწინოს ქართველმა ხალხმა და უკეთესი მომავლის მოახლოების რწმენით აღფურვილმა ბოლომდის უნდა შეინარჩუნოს ის შეურიგებელი პოზიცია მოძალადეებისადმი და მტკიცე ერთსულოვნება დემოკრატიულ წყობილების სიყვარულში, რომლითაც მოიპოვა მან დამოუკიდებელი არსებობა და მოიხვეჭა სიმპატია მთელი განათლებული კაცობრიობის.

მიმოხილვა.

50 მილიარდი.

რა მდიდარია საქართველო! რა ბედნიერია კომუნისტების ხელში! შემოვიდენ თუ არა ეს სამოთხის მოციქულები, მაშინვე მოხსნეს თავი საბჭდავ მანქანას და ამუშავეს, სანამ რკინა და ქვა ერთიანად არ გაიცვითა. ნამდვილი დღესასწაული დაუდგათ სპეკულიანტებსაც, რომელნიც გაქრობას მოელოდენ. მართალია წითელმა ჯარმა შემოსვლისას ბევრი შეჭამა მათი ქონებიდან, ოთხიოდე «წვრილთაგანი» საიქიოსაც გაისტუმრა ჩეკამ, მაგრამ შემდეგ საბჭოთა მთავრობამ სწრაფათ შეიგნო საჭიროება ახალი კურსის, ლენინის ნაკარნახევის, იგრძნო უაღრესი მნიშვნელობა ამ თავის მონათესავე ჯგუფის და სპეკულიანტები პირდაპირ სულში ჩაიძვრინა; განსაკუთრებით უცხოელი სპეკულიანტები. ესენი პირველი მოქალაქე შეიქნენ. «გაჩაღდა» ვაჭრობა. თანამემამულე სპეკულიანტებიც არ ჩამორჩენ უკან უცხოელებს. სიხარბემ წასძლიათ. ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო, გადასწყვიტეს მათ და შეუდგენ ჩვენი ქვეყნის გაცლას უკანასკნელ ქონებისაგან. მაგრამ უცხოელების გემრიელი ლუკმა მათთვის, ცოტა არ იყოს, ბოლოში მწარე გამოდგა. ბოლშევიკებში მალე გაიღვიძა კომუნისტურმა ატავიზმმა, მათ ველარ მოითმინეს, და ბურჟუაზიას «უჩქმიტეს», «ექსპროპრიატორების ექსპროპრიაციას» ხელი მიყვეს.

ამ აბრუნდის საბაბი თავისთავათ გაჩნდა. მე-11 არმიამ კომუნისტურ რევკომის საბეჭდავ მანქანას ექსპროპრიაცია უყო და მისაკუთრა. დარჩა მთავრობა უდაზგოთ და მაშასადამე უფულოთ, და აი ბუდუ მდივანის «ვაქკაცობამ» გამოძებნა ხელათ ფულის წყარო, დაადვა კონტრიბუცია ქალაქებსა და მაზრებს, სულ 50 მილიარდი, არც მეტი არც ნაკლები. უცხოელი სპეკულიანტები, ეჭვი არაა, ამ კონტრიბუციისაგან თავისუფალი დარჩებიან. მათ თუმცა გააწერეს გადასახადი ხალხის თვალის ასახვევათ, მაგრამ ვერას გადაახდევინებენ. ბ. ბუდუს გამბედაობა მათ ვერ მისწვდება. სამაგიეროთ ზინაურებს მილიარდებს ყველას აართმევენ. მაგრამ საიდან უნდა გადიხადონ მათ ამდენი თანხა, რომელი მრეწველობიდან, რომელი ვაჭრობიდან, რომელი შემოსავლიდან? ბოლშევიკი ფინანსისტები არ დაგიდევენ, რომ ამდენი ფული შეიძლება სულაც არ მოიპოვებოდეს მთელ საქართველოში. მათ სჭირდებათ სწორეთ ამდენი, შეიძლება ცოტა მეტიც, და განა ეს კი საკმაო საბუთი არაა?

და აი გაცალიერებულმა საქართველომ უნდა 50 მილიარდი მიუძღვნას კომუნისტურ მთავრობას. მიღებული ცნობებით ბევრგან ამოდენა თანხის განაწილებაც ვერ მოახერხეს გადასახდელათ. ქუთაისს მაგ. შეხვდა 4 მილიარდი. მარა ამ პატარა და ცალიერ ქალაქს ბოლშევიკების კომისიამ, მიუხედავათ დიდი ტანჯვა-წვალებისა, ამოდენა ფული ვერ გაუნაწილა გადასახდელათ. მაშინ კომისიამ უმორჩილესათ სთხოვა რევკომს თანხის შემცირება ერთი ოთხათ მაინც. მაგრამ ოლიმპიის ღმერთებს ეს საცინლათაც არ ეყო. განაწილება ხომ ანგარი-

შის საქმეაო! გამოსცვალეს ეს ცუდი და რბილი «რევოლიუციონერები» და დანიშნეს ახალი მაგარი კომისია. მარა საიდან გამოაღებინებს ამდენ ფულს ეს კომისია, ეს ალაბმა უწყის. ძალიან საეჭვოა, რომ ქუთაისში ამდენი ფული ტრიალებდეს, თუნდაც საბჭოთგან გამოცემულ «ჩეჩქიდან». ქალაქებზე უფრო უარეს მდგომარეობაში სოფელი ჩავარდა, მას მილიარდები ხომ ფულათ მიაწერეს და ქონებას ქონებათ არ-თმევენ, პურს, მატყლს ღვინოს და სხვ. მაშ საიდან უნდა გაიღოს ამ აწიოკებულმა ხალხმა თავის მტარვალების სარჩენათ ამოდენა თანხა?

ბედნიერია საქართველო, ყველაფერში გაუთანასწორეს რუსეთს!

მილიონი ფუთი!

რას არ ქადაგებდენ ბოლშევიკები საქართველოში, სანამ შემოყვანილ უცხო ჯარის საშვალებით ძალა-უფლებას ჩაიგდებდენ ხელში! რას არ პირდებოდენ საწყალ ხალხს! თეთრ პურს, რაფ ჩითის, მუქთ ტანსაცმელ-ფეხსაცმელს, სიმდიდრით ყელამდე ავსებას, ერთი სიტყვით ამ ქვეყნიურ სრულ ბედნიერებას. და როგორ შეასრულეს თავის უხვი დაპირება! ორიენ თვალით ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ეს ვერ დაინახოს. იმედ გაცრუებული და მწარეთ მოტყუებული დარჩენ ყველანი, ვინც მოელოდა მათგან რაიმეს, ან ურიგდებოდა მაინც მათ შემოსვლას ჩვენში.

მაგრამ მოტყუებასაც აქვს ერთგვარი საზღვარი, რომლის გადავლას ვერავინ იფიქრებს. საზღვარი არ ქონია მხოლოდ, როგორც სჩანს, კომუნისტების უსირცხვილობას. მოტანის და შემატების მაგივრ, ახლა ეს ვაჭბატონები იმასაც ეზიდებიან გარეთ, რაც ხალხს აქამდე შეუძენია. და თან წარბ-შეუხრელათ, მს ვილი ასოებით აცხადებენ, რომ ქართველი ხალხის დახსნა მათგან შექმნილ შიმშილისაგან შეიძლება მხოლოდ მისი ახალი დაბეგვრით, მისი გატყაული ზურგიდან ერთი მილიონი ფუთი პურის ბეგარის აღებით. ერთი მილიონი პური გაფხეკილ საქართველოსაგან! ვისთვის, ან რისთვის?

ცნობილია, რომ საქართველოში ვარგ მოსავლიან წელიწადშიაც რამდენიმე მილიონი ფუთი პურის შემოტანა აუცილებელი იყო მცხოვრებთა გამოსაკვებათ. ახლა იანგარიშეთ რაღა იქნება წელს, როცა ერთი მხრით დიდი ნაწილი ყანებისა დაუმუშავებელი დარჩა უამინდობის გამო, ხოლო რაც დაითესა, იმის მოსავალიც ერთი ათად შემცირდა ჩვეულებრივზე საშინელი გვალვით, სეტყვით, წითელი ჯარის ჩაყენებით, და სხვა ათასი უბედურებით. აშკარაა, ნაკლულევანება პურის კიდევ უფრო გაძლიერდა, ქვეყანა შიმშილის პირშია ჩავარდნილი, მას მიშველება უნდა, მას დამხმარე ესაჭიროება, მას უნდა ხელი პურის მიმწოდებელი; ბოლშევიკები კი მისდგომიან ამ გაძარცვულ ხალხს და მის ზურგზე მალაკს გადადიან. მოსკოვის ყაჩაღთა მაგალითით წაქეზებულნი, მათი გულის გასახარებლათ ერთი მილიონი ფუთი პურის წართმევა დაუდგენიათ ამ დამშეული ქვეყნისთვის.

რას ნიშნავს ეს?

ცხადია, დამშეული ხალხის კიდევ უფრო დამშევას, გაპირვებულის საბოლოოთ წელში გატეხას, ცხადია, ეს ნიშნავს შეგნებულათ და წინასწარ განზრახვით საქართველოში სარატოვის ამბების დატრიალებას, ხალხის აყრას და აწიოკებას.

მოსკოვის შინაყმებს მოსვენებას არ აძლევს, როგორც სჩანს, თავის რუსეთელ მოძმეთა სახელოვანი საქმეები, რომელთაც გააპარტახეს ვოლგის მდიდარი ბასეინი და უდაბნოთ აქციეს პურით უმდიდრესი გუბერნიები. მათ თავის ლოზუნგათ გაუხდიათ ხალხის გაქლეტა, მისი ულუკმაპუროოთ დატოვება, მისი სასოწარკვეთილებამდე მიყვანა. განსაცვიფრებელი ისაა, რომ ეს შიმშილით გაქლეტის პოლიტიკა, ეს ძარცვა-გლეჯა ამ შუბლ გარეცხილ ხალხს ქვეყნის ხსნათ მოუნათლავს და დიდი ასოებით აცხადებს: «ეს ყველაზე უტყუარი და ერთათერთი გზაა შიმშილთან საბრძოლველათ». (ბრ. გრუზ. №123).

ხალხს პირიდან უკანასკნელ ლუკმას ართმევენ, და თან ამშვიდებენ, ეს სულ შენს გამოსაძღომათ გვინდაო.

მაგრამ ჩვენ ვიცით, მათი ნამდვილი გულის ტკივილი. ისინი ებრძვიან არა ხალხის, არამედ წითელ არმიელთა შიმშილს, ე. ი. მათ გამოძღომას და ამით კომისართა კეთილდღეობას ემსახურებიან, მარა გლეხებს და ქალაქების მცხოვრებთ აქედან მხოლოდ შიმშილით სიკვდილი მოელის. და რომ ბოლშევიკების ეს გამადგურებელი პოლიტიკის ბატონობა გაგრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძელდეს, საქართველოს ხალხიც უნდა აიყაროს და პირდაპირ ზღვაში გადაცვინდეს.

მაგრამ, ჩვენ გვწამს, მათი ეს ხეპრული პოლიტიკა «ყველაზე უტყუარი და საუკეთესო გზა» იქნება თვით ამ ხეპრე პოლიტიკოსების დასამარებისა...

ხ ო ლ ე რ ა.

თუ დანაპირების ასრულება (პურის და საქონლის) ასე უჭირთ ბოლშევიკ მოღალატეებს, სამაგიეროთ მათ უხვათ შემაქვთ რუსეთის დაუშრეტელი «სიმდიდრე» ხოლერა, ჭირი, სნება, ხურვება და სხვა ათასგვარი გადამდები სნეულებანი. იარაღი და საშვალება ამათი შემოტანის და გავრცელების არა ერთია, მრავალია: სიბინძურე, რომელიც მათ გადმონერგეს რუსეთიდან, წითელი ჯარი, რომლითაც აავსეს საქართველოს ქალაქები და სოფლები, მათ უკან ადევნებული ლტოლვილები და მრავალი სხვ.

ამ შემთხვევაში ბოლშევიკების «ნამუშევარი» ზომაზე მეტათ «ნაყოფიერი» გამოდგა. ხოლერა მოედვა არა მარტო ქალაქებს, არამედ ისეთ სოფლებსაც, რომელნიც მთის კალთებზე და გაფანტულათ არიან გაშენებული. განა გაგონილა ოდესმე ხოლერა რაჭის მთებში, ან ცხინვალის ხეობაში? მაგრამ დღეს არც ერთი კუთხე არ არის საქართველოში, სადაც წითელი არმიის ბინძური რაზმი არ შესულიყოს და თან ყოველი სენი არ შეეტანოს.

და განაწამები, დამშეული ხალხი, გათელილი წითელ არმიელის მყრალი ჩექმებით, მისგანვე მოტანილი უსაშინელესი სენის მსხვერპლი ხდება.

საბჭოთა—გამყიდველების პრესა და აგიტ-პუნქტები კი გამომდგარან და მშიერ ხალხს უქადაგებენ: «ნამეტანს ნუ სჭამთ, ცოტა სჭამეთ და ხშირ-ხშირათ». აი დაცინვა, რომლის უარესს თვით მეფისტოფელიც კი ვერ მოიგონებდა. საშინელ უბედურების წინაშე დგას საქართველოს სოფელი და ქალაქი და მხოლოდ ამ უბედურების მთავარი მიზეზის მოსპობას, «წითელი იმპერიალისტური ჯარის» იქიდან გაყვანას შეუძლია გადარჩენა ამ ძალმომრეობით დამონებული ხალხის.

ქალაქებში, სადაც მცხოვრებლები ხელოვნურათ შეაქუჩეს ერთათ და შეეარეს ვიწრო ბინებში ბოლშევიკების კომისრებმა, ხოლერა თავის მსხვერპლს ხომ აუარებელს პოულობს. და აქაც იგი პირველ ყოვლისა სცელავს მუშათა და დაბალ ინტელიგენციის ფრეებს, ესე იგი სოციალისტურს და დემოკრატიულ ელემენტებს, რომელთა სახელით თითქოს მოქმედებს «მუშათა და გლეხთა რესპუბლიკა».

რა, რა არ ჩაიდინეს ამ ეაღალი სახელწოდებით მუხანათმა კომუნისტებმა, რუსეთის ანარქიას გადააბეს საქართველო და შიგ რუსეთის ჯოჯოხეთი დაატრიალეს. ამას ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ქართველი ხალხი! იგი კვნესის, გმინავს და ერთს მოითხოვს: მოგვაშორეთ ეს სულთამხუთავები! მოგვეცით საშვალება ჩვენ თავს მოვუაროთ.

და ეს ხმა უნდა გაგონილ იქნეს!

წერილი საქართველოდან *)

I.

თქვენ იცით საქართველოში უკანასკნელათ მომხდარი ამბები. იცით, თუ როგორი შეურიგებელი მტრობით შეხვდა თფილისის პროლეტარიატი ლენინის მარჯვენა ხელს, ჩვენს ძველ ნაცნობს, ბ-ნ ჯუღაშვილ-სტალინს. იცით, რომ ნაძალადევის ინციდენტს მოჰყვა კომპარტიის ცეკაში ბჭობა სტალინის თანდასწრებით, რის შედეგიც იყო ფილიპე მახარაძის გადაყენება და მის ადგილას «საქართველოს» რევკომის სათავეში, ნახევრად გიჟი ბუდუ მდივანის ჩაყენება. ეს ცვლილება მოასწავებს არა მარტო პიროვნებათა, არამედ აგრეთვე პოლიტიკური კურსის შეცვლასაც. მახარაძე, რომელმაც აპრილში სრულიად უმიზეზოდ მარტო დასავლეთ საქართველოში 1,000 კაცზე მეტი დაატუსაღებინა, რომელიც გლეხებს 2 მილიონ რუსის ჯარით ემუქრებოდა, რომელიც მშვენივრად ეგუებოდა მეთერთმეტე არმიის «ჩინგის ხანურ» (საშა გ.ეგეჭკორის ტერმინია; ასე ახასიათებდა ეს ვაკბატონი რუსის ჯარის მოქმედებას დეპეშაში, რომელიც მან ქუთაისიდან გამოუგზავნა

*) ვბეჭდავთ ამ წერილს უცვლელად, მიუხედავთ იმისა, რომ იგი რამდენიმეთ პოლემიკური ხასიათისა. შესაძლებელია ავტორის დაკვირვებანი და განცდანი ზოგ რამეში გადაჭარბებულია, ამ შემთხვევაში რედაქცია თავის მოვალეობათ ჩასთვლის ადგილი მისცეს ჟურნალის ფურცლებზე ყველა განცხადებას და წერილებს, რომელნიც ამ საკითხს გააშუქებენ.

რედ.

საქართველოს რევკომს) ქცევას ჩვენში და პანკრატოვის თარეშს,—ეს ფილიპე მახარაძე «რბილი» პოლიტიკის მატარებელი აღმოჩნდა! წარმოიდგინეთ, რა სასოწარკვეთილებაში ჩაგდებდა ბ-ნ ფილიპეს პრემიერის პორტფელის მოულოდნელი დაკარგვა! არ ვიცი, რა კომპენსაციას მიუძღვნის ფილიპეს კომპარტია ჩამორთმეულ პორტფელის სამაგიეროთ. ჩვენთვის და თქვენთვისაც ეხლა უფრო საინტერესოა მისი მემკვიდრე, რომელიც მოწოდებულია «მაგარი კურსის» გასატარებლათ. რაში უნდა გამოიხატოს ეს «მაგარი» კურსი? ყოველ შემთხვევაში ეს ვერ იქნება ახალი კურსი; აქ შესაძლებელია განსხვავება მხოლოდ რაოდენობითი და არა თვისებითი. ეს იქნება იგივე ჭერა, ხვრეტა, გადასახლება, მხოლოდ უფრო გაძლიერებული, უფრო მრავალრიცხოვანი. ეს იქნება, შემდეგ, უფრო ჩქარი ნაბიჯით, მომეტებული ტემპით წარმოებული რუსიფიკაცია, ადმინისტრაციის უფრო ჩქარი გარუსება-გასომხება, ქართული ენის მეტი დაწესებულებებიდან განდევნა, ქართველი ხალხის ქონების გატაცების პროცესის ინტენსიფიკაცია, რევკომებში მეტი ყაჩაღების ჩაყენება, ქალაქის მუშა-მოსამსახურეების მეტი დამშევა და სხვა და სხვა. ჯერ სულ ორი-სამი კვირაა რაც ბუდუ მდივანი თანამდებობაში ჩადგა და მისი ადმინისტრატიული «ნიჭი» ამ მხრით უკვე საკმაოდ გამოაშკარავდა. დაიჭირეს, როგორც იცით, აუარებელი პოლიტიკური მოღვაწეები, განსაკუთრეაით თფილისში (თუმცა არც პროვინციაში აკლებენ ხელს). დაიჭირეს დამფუძნებელი კრების თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატი დეპუტატები, მთავრობის ყოფილი წევრები, მრავალი და მრავალი მოწინავე მუშები. დაიწყეს მუშების მასიური გადასახლება უცხოეთში, განსაკუთრებით მოწინავე რკინისგზელების. თფილისიდან ქართველობას ნაწილობრივ ძალათ ერეკებიან, ნაწილობრივ კი თვით გარბიან ცხოვრების აუტანელი პირობების გამო. ქართველების ადგილს ყველგან რუსსომეხი «კომუნისტები», ე. ი. ძველი და ახალი რეაქციონერები იჭერენ. შიმშილი, ხოლერა, ათასი ავადმყოფობა დღითი დღე მატულობს. ხალხის ქონების გაძარცვა-გატაცების გასაძლიერებლათ ისედაც დამშეულ საქართველოს დაადვეს ვეებერთელა კონტრიბუცია პურით და სიმინდით (1.000,000 ფუთი), ღვინით (500,000 ფუთი), ფულით (50 მილიარდი)! [illegible] თხავთ საიდან უნდა გადაიხადოს ბეჩავმა საქართველომ ამოდენა ხარკი?! მოსავალი მომეტებულად საშუალოზე მდარეა, ზოგან კი სრული მოუსავლობაა; ღვინო რაც მოიპოვებოდა, წითელ არმიელებს ასვეს 1-სა და 26 მაისს საქართველოს «დამოუკიდებლობის» სადღეგრძელოთ; მილიარდები უცხოელ სპეკულიანტების და «სოვსპეკ-ების («სოვეტსკი სპეკულიანტ.») ხელშია, რომელნიც, რა თქმა უნდა, სათანადო ქრთამით ყოველგვარ დაბეგვრას დაუძვრებიან. ყოველივე ქართველმა მშვენივრად იცის, თუ ვისთვის იღწვის ბუდუ მდივანი და მისი დამქაშები: საქართველოში ნაძარცვი პურით და ღვინით უნდა დაეხმარონ თავის ხაზეინებს, მოსკოვის მპრობელთ, რომელთა ტახტის რყევას შიმშილისაგან უკვე აქაც ვგრძნობთ.

ასეთი მრავალშედეგიანი საქმიანობა, რა თქმა უნდა, დიდ სახელს მოუხვეჭს ბუდუ მდივანს, როგორც რუსეთის კომუნისტებში, აგრეთვე ქართველ ხალხში, მარა ქვეყანას რომ ამ გზით ვერ დაამშვიდებენ და ვერც მუშას და ვერც გლეხს ვერ მოიმხრობენ, ეს კომუნისტებსაც კარგად ესმით. უკანასკნელმა რეპრესიებმა კიდევ უფრო გაამწვავა ხალხის, განსაკუთრებით მუშების სულისკვეთება. სოფლის ხალხიც არა ნაკლებ აღშფოთებულია. კომუნისტებმა კარგად იციან ეს და ხალხის გულის მოგების იმედიც თითქმის სრულიად დაკარგეს. აქ დაადგენ ისინი «ახალ გზას» და ეს «ახალი გზა» მართლაც რომ საინტერესოა. ის წარმოადგენს ერთნაირ გამოცდას, ეგზამენს მრავალ ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწისა და ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფისათვის.

დღეს უკვე ყველასთვის ნათელია, რომ ვერ გასჭრა ვერც ლენინის პლანმა—ქართველი დემოკრატიის მეთაურების შერიგების, ვერც ჩვენი კომუნისტების გულის წადილმა—სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხალხისაგან ჩამოშორების. ვერც ტკბილი სიტყვებით, ვერც რეპრესიებით, ვერც ტეროორით ხალხი მენშევიკურ პარტიას ვერ ჩამოაშორეს. დღეს გუშინდელზე და გუშინწინდელზე უფრო აშკარაა, რომ ხალხი, ბოლშევიზმისადმი შეურიგებელი სიძულვილით შეპყრობილი, თავის მებაირაღტრეთ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას სცნობს, ის მიაჩნია თავის მესაიდუმლეთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალის მესვეურათ. სოც.-დემოკრატიულ პარტიის პოლიტიკურად დამარცხება შეუძლებელია; სამაგიეროთ ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ იმედი ამ პარტიის პოლიციური ზომების საშვალებით მოსპობის, მისი ფიზიკურად განადგურების და ამგვარად ქართველი ხალხის პოლიტიკურად თავის მოკვეთის. უწინამძღოლოდ დარჩენილი ხალხი კი ადვილი დასამონავებელია. ეს არის «ახალი გზის» ერთი და უმთავრესი მხარე.

კომუნისტებს კარგათ აქვთ გათვალისწინებული, რომ ჩვენი პარტიის მოსპობა არც ისე ადვილია. ამიტომ იგინი თავის გამანადგურებელ მუშაობაში გაფაციცებით ეძებენ მოკავშირეებს; ეს «სოგლაშატელობის» შეურიგებელი მტრები მზათ არიან შეუკავშირდენ «თვით ეშმაკს და მის ბებიასაც», ოღონდ მენშევიკების მოსპობის საქმე გაიადვილონ. და ეს არის ახალი გზის მეორე მხარე. ამ მოკავშირეების როლისათვის მოიმარაგეს მათ ყველა სხვა პარტიები და პოლიტიკური ჯგუფები. ამით აიხსნება ის თითქოს პარადოქსალური მოვლენა, რომ საქართველოში «მუშურ-გლეხური სოციალისტური რესპუბლიკის» მთავრობა მხოლოდ და მხოლოდ სოც.-დემოკრატიულ პარტიას ებრძვის გადაჭრით. ამიტომაა, რომ სხვა პარტიებს, როგორც მემარცხენეთ, აგრეთვე მემარჯვენეთ, ზოგავენ, თუ გნებავთ—ერთგვარად უვლიან კიდეც. მაშინ, როცა ჩეკა-საპყრობილეები სავსეა სოც.-დემოკრატებით, ამათ მოღვაწეებს ან სრულიად არ სდევნიან, ან თუ შემთხვევით წაავლეს ხელი, მხოლოდ ორ-სამ დღეს გააჩერებენ ჩეკაში.

უნდა ითქვას, რომ სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ მოკავშირეების ძებნის საქმეშიც კომუნისტებს პირველი კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. თედო ღლონტის სტავკა არ გამოდგა. მოსყიდულ «სოც.-ფედრალისტის» ჯგუფი ნამეტანი ხეპრულად «მოღვაწეობდა», ზედმეტი ერთგულება გამოიჩინა და ქართველობის მცირე ჯგუფიც კი ვერ აიყოლია. ღლონტ-ნუცუბიძის აშკარა რენეგატობამ კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი პარტიის გავლენა, იმათ მოღალატეობის ფონზე უფრო ნათლად დაისახა ჩვენი ეროვნული ერთგულება და დემოკრატიული სიმტკიცე. ასეთივე სამსახური გაუწია ჩვენთან ბრძოლაში კომუნისტებს აგრეთვე ლეო შენგელაიას და კო-ის რენეგატობამ. მაშ, ორი პირველი ცდა არ გამართლდა. მით უფრო დაბეჯითებით ცდილობენ კომუნისტები დანარჩენ ორი ჯგუფის აშკარათ თუ ფარულათ მომხრობას, მათ გამოყენებას მოკავშირეთ ჩვენს პარტიას ან ბრძოლაში. პირველი ამ ჯგუფთაგანი მემარცხენეა, გუშინ სოც.-დემ. პარტიაში მოღვაწეობდა, მენშევიკებთან კარგა ხნის საერთო მუშაობის სკოლა აქვს გავლილი, ხალხში მოქმედემის ტრადიცია და უნარიც უნდა ჰქონდეს და, რაც თავი და თავია, თვით სახელწოდებით ჩვენ პარტიას უახლოვდება, ჩვენი პარტიიდან გამოსულა. ამათ შერიგებამ, ამათ მიმხრობამ—ასე სჯიან ბეკები—შეიძლება ასწიოს რევკომის პრესტიჟი, როგორც უცხოეთში, აგრეთვე თვით საქართველოში, შექმნას ილიუზია—თითქოს ქართველი დემოკრატია გატყდა, შეურიგდა მომხდურ მოძალადეთა ბატონობას. ჩემის ცნობით (და ეს ცნობა უტყუარ წყაროდან მაქვს) ბოლშევიკები აქაც უკვე პრაქტიკულად სინჯავენ კიდეც თავის პოლიტიკურ კომბინაციას. რომ მეტი ავტორიტეტი მისცემოდა მათ პირველ ნაბიჯს, ინიციატივა თვით ბ-ნ სტალინს უკისრნია: მას მიუწვევია ერთი გუშინ აგრეთვე ჩვენს პარტიაში მყოფი მოღვაწე, დღეს პარტიის გარეშე მდგომი, მარა ჩვენგან გამდგარი ჯგუფის მონათესავე. ამ მოღვაწისთვის უთხოვნია ჯგუფთან მოლაპარაკება თანამშრომლობის შესახებ. მე არ ვიცი რა შედეგი მოჰყვა გამდგართა ჯგუფის თათბირს. ერთი რამ კი უცილობელი ფაქტია: ამ ჯგუფს ჰქონდა თათბირი სტალინის წინადადების შესახებ. მე, პირადათ, არ მგონია, რომ ჩვენი ყოფილი ამხანაგები იმდენათ დაბრმავებული იყვნენ ჩვენი პარტიისადმი და დემოკრატიულ მთავრობისადმი სიძულვილით, რომ მთელი თავისი პოლიტიკური მომავალი ბოლშევიკების მიერ მოწოდებულ «ცერცვის შეჭამადზე» გასცვალონ. მინდა ვირწმუნო, რომ არც ეს «სტავკა» გასჭრის.

დარჩა მემარჯვენეები. აქ კი მდგომარეობა გაცილებით უფრო რთული და სერიოზულია. მართალია, ბოლშევიკები ამათ აშკარათ, ახდილათ ვერ შეიუღლებენ, მაგრამ საბუთი აქვთ იფიქრონ, რომ ამათი არა ფორმალური, არამედ ფაქტიური თანამშრომლობა გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანს, ვინემ ღლონტების და შენგელაიების აშკარათ მიმხრობა. ამათ ხალხიც მეტი ჰყავთ, საქმიანობის უნარიც თითქოს მეტი აქვთ, ძალა-უფლების წყურვილი და სოც.-დემოკრატებისადმი სიძულვილი ხომ სხვაზე არა ნაკლები. ყოველ შემთხვევაში ამ ორ, პირველ შეხედვით ანტიპოდურ ელემენტებს, უახლოეს მომავალისათვის მაინც, ერთმანეთთან მჭიდროთ აკავშირებს უსაზღვრო სიძულვილი სოც.-დემოკრატიისადმი, შიში, რომ ერთიც უნდა დაჯდეს, დამხობის და მის ადგილას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბატონების სურვილი. ჩემის აზრით, ბოლშევიკები სერიოზულად ფიქრობენ ამ ხალხის თანამშრომლებლათ მოწვევას. საქმეს აადვილებს ერთი გარემოება: თუ რომელიმე ქართულ ჯგუფს ცოტათი მაინც იზიდავს რევკომის ძალა-უფლება, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მჭლე ბურჟუაზიის იმ ნაწილს, რომელიც უმთავრესათ სპეკულიანტურ საგარეო ვაჭრობაშია გართული. ეს ელემენტი, სიმპატიით თუ არა—ინტერესის გამო მაინც, უკვე თანამშრომლობს «ვნეშტორგთან» და რევკომთან. ამ ინტერესის საფუძველზე შენდება ერთნაირი იდეოლოგია: «რითი არიან მენშევიკებზე უარესი ბოლშევიკები, ვაჭრობის თავისუფლებას მეტს იძლევიანო» და სხვა და სხვა. ამ სპეკულიანტური ბურჟუაზიის იდეოლოგიის მატარებელი ინტელიგენცია მეტის ხალისით მუშაობს ბ—ებთან, გაცილებით უფრო ადვილათ იტანს მათ, ვინემ უფრო დემოკრატიული (სოციალისტურზე რომ არ ვილაპარაკოთ) ინტელიგენცია. ხოლო პოლიტიკური ჯგუფები, რომელნიც ამ სოციალური წრის ინტერესების გამოხატვას კისრულობენ, ამ მარტივს, უხეშ ინტერესზე აგებულ იდეოლოგიას თან ურთავენ პოლიტიკურ მოსაზრებებს. როგორც ბოლშევიკების, აგრეთვე ამათი მთავარი მიზანი, მათი მომავალის აუცილებელი პირობაა—სოც.-დემოკრატიულ პარტიის მოსპობა... და პოლიტიკურად იგინი ადვილათ ურიგდებიან ბოლშევიზმს, რადგან იმედი აქვთ, რომ ბოლშევიკური ტეროორი შესძლებს სოც.-დემოკრატიის სამუდამოდ დასამარებას, ქართველ ხალხს დაუობლებს პოლიტიკურად და ამ რიგათ მათ ბატონობას გზას გაუკაფავს იმ დროისათვის, როცა ისტორიული აუცილებლობის ძალით დღევანდელი ბატონ-პატრონნი ჩამოშორდებიან საქართველოს. ამ ილიუზიით გატაცებულნი ჩვენი მემარჯვენეები აქამდე კრავისებური სიმშვიდით და მორჩილებით ურიგდებოდენ მოძალადეებს, თავს იზოგავდენ, მათ არ აჯავრებდენ და იმედის თვალით შეჰყურებდენ ჩვენი პარტიის დარბევას. ეს აქამდე. ბოლო დროს კი არის ზოგიერთი სიმპტომები, რომლებიც საბუთს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ბეკები და მემარჯვენეები ერთმანეთს პრაქტიკულადაც უახლოვდებიან. აქ ყველამ იცის, რომ ზოგიერთი ბობოლა მემარჯვენე მოღვაწეები «წითლებთან» წითელს დაურიდებლად შეექცევიან და ძლიერ კარგი თვისება აქვთ მათთან. ასეთია საქართველოს დღევანდელი ვითარების ერთი უკეთესი მართობათაგანი. მე არ მინდა წინასწარმეტყველება. ვერ ვიტყვი რამდენიანს გასტანს ფლირტი ორ «ანტიპოდს» შორის, მიაღწევს თუ არა ეს ფლირტი «გულითად თანხმობამდი» და ხმა შეწყობილ თანამშრომლობამდი საერთო მტერის—სოც.-დემოკრატიის ე. ი. ქართველი დემოკრატიის—შესამუსრავათ. როგორც ზევით ვთქვი, დღევანდელი პარტიათა შორის დამოკიდებულება საქართველოში ჩვენ ერთნაირ პოლიტიკურ ეგზამენის მოწამეთ გვხდის. ეგზამენის დამჭერია სხვა და სხვა პოლიტიკური ჯგუფები. ეგზამენატორი თითქოს კომპარტია, მარა ეს მხოლოდ დღეს. ჩემთვის და თქვენთვის უცილო და უდავოა, რომ საბოლოო ნიშანს ქართველი დემოკრატია, ქართველი ხალხი დასწერს. ისიც უცილო და უდავოა, რომ ყოველივე პოლიტიკური მოღვაწე ან ჯგუფი, რომელიც თედო ღლონტის მიერ თელილ გზას გაყვება, მისებრ სამუდამოდ დაიმარხავს პოლიტიკურად თავს ქართველი ხალხის მომავალისათვის.

წერილი გამიჭიანურდა, თორემ კიდევ მქონდა რამდენიმე მოსაზრება, მარა ეს შემდეგისათვის, თუ . . . თუ «ჩეკას» მზრუნველობა ამცდა და მეც სხვა ამხანაგებსავით არ მიკრეს თავი ნესტიან და მკბენარიან სარდაფში.

გულითადი სალამი

თქვენი გადამალული «ჰამლეტი».

თფილისი, 2 აგვისტო 1921 წ.

ევროპის პრესიდან.

„დავეხმაროთ კავკასიის განთავისუფლებას“.

საფრანგეთის მთავრობის ოფიციოზი, «ტაიმი», 29 ივლისის ნომრის მოწინავე წერილში არჩევს უახლოეს აღმოსავლეთის პერსპექტივებს. გაზეთის აზრით რამდენათაც ბუნდოვანია მდგომარეობა მცირე აზიაში, იმდენათ ნათელია კავკასიის მდგომარეობა. ბოლშევიკებს დიდი მატერიალური ინტერესები აქვთ კავკასიაში. ამასთანავე, უსაფუძვლო არ იქნება ვიფიქროთ, რომ ბოლშევიკები მოწადინებული არიან ისარგებლონ ოსმალების ეხლანდელი გასაჭირით და შევიდენ აღმოსავლეთ ანატოლიაშიც. იქ მოკალათებული ბოლშევიკები, თურქების დახმარებით, რომელთაც სხვისი არავის დახმარების იმედი არა აქვთ, უფრო მოხერხებულად გამოიწვევენ მღელვარებას მესოპოტამიაში და უფრო რეალურ ზეგავლენას მოახდენენ ინგლისზე—რომლის ფინანსიური დახმარება აუცილებელია მათთვის დღეს—ვინემ ახდენდენ მაშინ, როცა კასპიის ზღვის სპარსულ ნაპირებს ესხმოდენ თავს. რუსეთში გამეფებული შიმშილი აქ მათ არამც თუ არ შეუშლის ხელს, არამედ შეუწყობს კიდეც. თუ დამშეულთა მთელი ჯარი დაიძრა რუსეთიდან კავკასიისაკენ, როგორც ამას იუწყებიან, წითელი

არმია გახდება მთელი ამ ამოძრავებელი ხალხის მოწინავე რაზმი. ეს დამშეული ხალხი შეუჩერებელ ტალღასავით გააქანებს წინ წითელ არმიას.

და ასეთ პირობებში განა დროული და შესაფერისი არ იქნება მატერიალურად დავეხმაროთ კავკასიის მოსახლეობას, რომელიც ცდილობს დაიცვას და გაინთავისუფლოს თავი ბოლშევიზმისაგან? ინგლისი საფრანგეთზე უფრო მეტათაა დაინტერესებული საბჭოთა რუსეთსა და აზიის დიდ მუსლიმანურ ქვეყნებს შორის არსებობდეს წესრიგის და მშვიდობიანობის ზონა».

«შველა მხოლოდ ცივილიზაციურ ევროპიდანაა მოსალოდნელი».

იგივე გაზეთი 5 აგვისტოს ნომერში ათავსებს დავწრილებით ცნობებს საქართველოს უმწეო სასურსათო მდგომარეობასა და ხალხის დამშევაზე, ასწერს გამანადგურებელ როლს მოსკოველ დამპყრობელთა წითელი არმიისას, რომელთაც გაძარცვეს, გაანადგურეს, დაამშიეს ქვეყანა, და დასძენს:

«სადაა გამოსავალი ამ მდგომარეობიდან? საიდანაა მოსალოდნელი დახმარება და შველა? როგორც ყოველთვის, ქართველ ხალხს ცივილიზაციურ ევროპისაკენ მიუპყრია თვალები დახმარების მოლოდინში. რა თქმა უნდა ის არაფერს გამოელის არც საქართველოს საბჭოთა მთავრობისაგან, რომელიც მისი უბედურების მიზეზია, არც ამ მთავრობის მბრძანებელი მოსკოველი დიქტატორებისაგან, რომელთაც არც სურვილი აქვთ და არც შეძლება ქართველი ხალხის ტანჯვის შემსუბუქების».

კონფედერაციის გამო.

პარიზელ გაზ. «ტაიმპს»-ში, № 21874, 22 ივნისიდან მოთავსებულია მეთაური წერილი კავკასიის კონფედერაციის შესახებ. გაზეთი მეტათ იმედიანათ უცქერის ამ კონფედერაციის საკითხს და დიდ მნიშვნელობას ა'ლევს პარიზში დადებულ ხელშეკრულობას:

«ამ დილით ბ-ნმა ბრიანმა მიიღო წარმომადგენელნი კავკასიის ოთხი რესპუბლიკის, რომელთა ტერიტორია ამ ჟამათ ძალით უპყრია ბოლშევიკებს. გადმოხვეწილ მთავრობებს მჟიდრო კავშირი აქვთ თავის თანამემამულეებთან და მტკიცეთ სწამთ მათი მოკლე დროში განთავისუფლება. მათი წარმომადგენელნი იყვნენ ბრიანთან ამ დილით: ბ. აჰარონიანი—სომხეთის, ბ. თოფჩიბაშევი—აზერბეიჯანის, ბ. ავალოვი (პარიზში ამ ჟამად არ მყოფ მინისტრის მაგიერ) საქართველოს და ბ. ჩერმოევი—კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის მხრივ. სანამ ბ. ბრიანს ინახულებდენ, ამ ოთხმა წარმომადგენელმა ითათბირეს პოლიტიკურ საქმეთა დირექტორ, ბ. დე პერეტტი დე ლა როკასთან.

მათ დარბაზობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მათ ესეცაა მიუღწევიათ ისეთ შედეგისათვის, რომელსაც დიდი გავლენა ექნება მათი ქვეყნების მომავალზე: ათ ივნისს პარიზში დაიდვა ხელშეკრულობა, რომელიც უკავშირებს ერმანეთს კავკასიის ოთხ ერს».

რომ ხელშეკრულების დამდები რესპუბლიკები დღეს უცხო ძალას უპყრია, ეს გარემოება ვერ დაუკარგავს მნიშვნელობას ამ ხელშეკრულებას, ამის დასამტკიცებლათ გაზეთი ამბობს: ერთი რომ ეს ხელშეკრულება განმტკიცებულია კავკასიის ხალხთა იმ ჭმინდა ტანჯვით, რომელსაც იგინი ეხლა განიცდიან—და ამის გარდა ახლო წარსულის მაგალითები გვიჩვენებს, რომ ასეთ ხელშეკრულებებს შეუძლიათ ნაყოფის გამოღება. დიდი ხანი არაა მას შემდეგ რაც ჩვენ ვხედავდით ერთი მხრით გადმოხვეწილ ბ. ტრუმბიჩს, რომელიც იუგოსლავიის კომიტეტის თავმჯდომარის სახელით აწარმოებდა მოლაპარაკებას და მეორე მხრით ბ. პაშიჩს, თავმჯდომარეს სერბიის მთავრობისა, რომელსაც მაშინ ტერიტორიის მხოლოდ ერთი პატარა ნაგლეჯი ღა შერჩენოდა მაკედონიაში. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, ბ. მასარიკის სახით, ტანჯვა-ვაებით მოგზაურობდა რუსეთში და შეერთებულ შტატებში ან უხმოდ მუშაობდა პარიზში ბ.ბ. ბენეშის და სტეფანიკის სახით. «რეალური პოლიტიკოსების» თვალში ყველაფერი ეს მხოლოდ ილიუზიებს წარმოადგენდა; და ვენაში სასაცილოდ არ ეოფნიდათ, როცა ბ. ბრიანმა იუგოსლავიის და ჩეხოსლოვაკიის მოთხოვნილებები ვილსონის საპასუხო ნოტაში შეიტანა 1916 წ. მაგრამ რას წარმოადგენს მაშინდელი რეალობა დღეს, როცა იმ დროის პროექტები რეალობათ არის გადაქცეული? დღეს ბ. მასარიკი სახელმწიფოს უდგას სათავეში; ბ. სტეფანოვი, უდროოდ გარდაცვლილი, ეროვნულ გმირადაა აღიარებული; ბ. ბენეშმა მცირე ანტანტანტა დაარსა, უთანხმდება უნგრეთს და იწყებს მოლაპარაკებას პოლონეთთან; ბ. პაშიჩი, რომელიც ისევე სძლევს ღრმა მოხუცებულობას, როგორც სძლია გადმოხვეწილობას, განაგებს დიდ იუგოსლავიას: და ბ. ტრუმბიჩი, როგორც დეპეშა გადმოგვცემს, დიდის აღფრთოვანებით მიიღეს ამ დღეებში ზაგრებში, სადაც ის საფრანგეთზე ლაპარაკობდა.

ამ ფაქტებმა უნდა გაამხნევოს კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლები, რომელთაც, საფრანგეთის გულში გადმოხვეწილთ, ახლა დასდეს ურთიერთ შორის ხელშეკრულება.

F 8343

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლერა. გაზეთების და კერძო პირების ცნობებით ხოლერა მოედო მთელ საქართველოს. ქალაქებში, როგორც თფილისი, ქუთაისი, ბათომი და სხვ. ხოლერა საშიშ ხასიათს ღებულობს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ სოფელიც არ არის დაზღვეული ამ სენისგან. სადაც რუსის ჯარი იდგა, ყველგან იჩინა თავი ხოლერამ. იყო ხოლერის შემთხვევები იმერეთის სოფლებში, რაჭაში, სამეგრელოში, ცხინვალის რაიონში (გორის მაზრა), ბორჩალოში და სხვაგან, სადაც ამ სენის ხბენებაც არ ყოფილა თვით უსაშინელეს ხოლერის ეპიდემიის დროსაც. რა ეშველება ამ სენს, განსაკუთრებით სოფლათ, არავინ იცის. ექიმები არ ყოფნის. წამალი ხომ სულ არ იშოვება. რაც იყო აფთიაქებში, ის კომუნისტებმა გაზაფხულზევე გაზიდეს რუსეთში. ხალხი დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი, და თუ საიდანმე საშველი არ დაადგა, სასოწარკვეთილებას მიეცემა.

ბეგარა თუ რეკვიზიცია. საქართველოს რევკომმა მილიონი ფუთი პური გააწერა საქართველოს გლეხებს. ამ გაწერის თანახმათ ყველა გლეხს უნდა ჩამოართვან განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი რაც მოუვა. ბეგარა გაწერილია ხორბლათ და სადაც პური არ მოდის, იქ მის ნაცვლათ უნდა შეტანილ იქნეს სიმინდი, ქერი და სხვ. ერთი ოჩათ და ერთი სამათ მეტი რაოდენობის, ფუთი პური ამ მხრივ უდრის 2 მინდს და სხვ.

ასეთივე გადასახადია ცალკე დადებული მატყლზე, ღვინოზე და სხვა სოფლის მეურნეობის ნაწარმ. ერთი სიტყვით ბურჟუაზიის ნაცვლათ ჩვენი კომუნისტები ცარცვავენ გლეხებს.. სპეკულიანტები კი თავისუფლათ დაჯირითობენ ფუთ სისაქართველოში...

კონტრიბუცია. განახლებულმა რევკომმა დაიწყო თავის მოღვაწეობა ხალხზე კონტრიბუციის დადებით. საქართველოს ქალაქებს და მაზრებს გააწერეს სულ 50 მილიარდი მანეთი. ეს გააწერეს ქალაქსაც და სოფელსაც. ისეთ მიყრუებული კუთხესაც კი, როგორც თიანეთია შეწერილი აქვს 300 მილიონი. დანარჩენ მაზრებს 500—900 მილიონამდე თითოს. ქუთაისს 4 მილიარდი... სოფელი ფულის მხრივ შედარებით თითქო ნაკლებაა დაბეგრილი, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რომ მათ ყოველგვარ სურსათსაც ართმევენ, ცხადი იქნება, რომ სოფელს უფრო უპირებენ ტყავის აძრობას, ვინემ ქალაქს, სადაც თვითონ იწვევენ უცხო და შინაურ სპეკულიანტებს.

ბავშვების გარყვნა. მთელ საქართველოში მოქმედებს საზარელი სისტემა ბავშვების გაკომუნისტებისა. მცირე წლოვან ბავშვებს ურიგებენ მუქთათ თეატრის ბილეთებს და აძლევენ საჩუქრებს, და ამ დროს ბოლშევიკები შემდეგნაირათ იქცევიან: ჯერ ბავშვებს წინადადებას აძლევენ, რათა მათ შეეგვედრონ ღმერთს, რომ მან მისცეს პური, შაქარი და სხვ. ბავშვები მათ წინადადებას ასრულებენ, მაგრამ ღმერთი, რასაკვირველია, მათ სურვილს არ უსრულებს. შემდეგ კი აგეთივე ვედრებით, ბოლშევიკების წინადადებით, ბავშვები მიმართავენ მენშევიკებსაც, და აქაც ვერაფერს იღებენ. ბოლოს მათ უნდა მიმართონ თხოვნით კომუნისტებს—მაშინ, რასაკვირველია, ისინი ყველაფერს იღებენ. შემდეგ ბავშვებს ამღერებენ ინტერნაციონალს და აძახებენ: გაუმარჯოს ლენინ-ტროცკისო.

მესამე ინტერნაციონალის დღესასწაული თფილისში. მესამე ინტერნაციონალის მესამე ყრილობისთვის ბოლშევიკები დიდის ამბით ემზადებოდენ. წინდაწინვე გააჩაღეს აგიტაცია გაზეთებში. და 17 ივლისისთვის დანიშნეს საღამო-მიტინგები თფილისის ყველა რაიონებში ინტერნაციონალის პატივსაცემლათ. ამ დღეს იყო განზრახული სტალინის მოხსენებისგან 5 ივლისს დატოვებული ცუდი შთაბეჭდილების გამოსწორება. და აი აღნიშნულ დღისთვის შემუშავდა ფართო პროგრამა, დაინიშნა მომხსენებლები თფილისის რაიონებში და პროვინციებში. მოწინავე მუშები და მენშევ. პარტიის თითქმის ყველა გამოჩენილი წევრები წინდაწინვე ციხეში ჩასვეს, რომ ხელი არ შეეშალათ. მაგრამ ამანაც ვერ გასჭრა. 17 ივლისს საღამოს, როცა ნაძალადევში გამოცხადდა ბ. ბდივანი თავის ამალით, დარბაზში აღმოჩნდა მარტო ქალები, ბავშვები და რამდენიმე კაცი, სულ 60-დე. ბ. მდივანის შეკითხვაზე, სად არიან მუშებიო, უპასუხეს, არ მოსულანო. საღამო არ შედგა. მეორე რაიონშიაც ასეთივე სურათი იყო. კრებაზე გამოცხადდა სულ 17 კაცი, კომუნისტური იაჩეიკის წევრები, მეტი არავინ. ორთაჭალაშიაც მხოლოდ პარტ-კომის წევრები დახვდა ორატორს და მიტინგის ნაცვლათ პარტიული კრება გამართეს. ასევე მოხდა ავლაბარშიაც. ასე იდღესასწაულა თფილისმა ინტერნ. მესამე ყრილობა.

მუშების გადასახლება. რკინის-გზიდან მრავალი ქართველი მუშები გადაყავთ აზერბეიჯანში, სომხეთში და რუსეთშიაც. ვინც ნებით არ მიდის, ძალით აგზავნიან. ამ დღეებში ხაშურში დაატუსაღეს 20-დე მუშა და აზერბეიჯანში უკრეს თავი. ყვირილის დეპოს მუშები სომხეთში გაგზავნეს. საერთოთ მუშათა წინააღმდეგ უსაშინელეს რეპრესიებს ხმარობენ.

სოციალისტები და საქართველო.

კომისიის შედგენა საქართველოს საკითხზე.

ივლისის ბოლო რიცხვებში კოპენჰაგენში მოხდა ინტერნაციონალური სოციალისტური კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ წარმომადგენლები: ინგლისის, ბელგიის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, დანიის, ჰოლანდიის, შვეციის, ნორვეგიის, ფილიანდიის, ირლანდიის, საქართველოსი. საქართველოდან წარმომადგენლათ იყო კარლო ჩხეიძე.

კონფერენციაზე შემდეგი საკითხები იყო დასმული: ა) მომავალი მუშაობის გაერთიანების შესახებ და ბ) საქართველოს შესახებ.

ამ უკანასკნელ საკითხზე მოხსენება გააკეთა კ. ჩხეიძემ, რომლის წინადადებები ყველა ერთხმათ იქნა მიღებული კონფერენციის მიერ... საერთოთ კონფერენციაზე დამსწრე დელეგატებში საქართველოს საკითხი იწვევდა დიდს ენტუზიაზმს და თანაგრძნობას. ჩვენთვის რასაკვირველია უმთავრესი იყო არა მარტო რეზოლიუციები და ქადაგება, არამედ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. საერთოთ ინტერნაციონალის აქტიურათ ჩაბმა ჩვენი საკითხის გადაჭრის საქმეში. და ეს მიზანიც მიღწეულ იქნა. კონფერენციამ გადაწყვიტა შეუდგეს შერეულ კომისიის მოწყობას სოციალისტებისა და კომუნისტებისაგან, რომელიც წავა საქართველოში. და ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიანდო კომიტეტს, რომელშიაც მოხვდენ: მაკდონალდი, დებრიუკერი, ტრელსტრა, სტენინგი და ჰანსენი (შვეციიდან). ეს ინტერნაციონალური-პოლიტიკური კომისია დაუყონებლივ შეუდგა ვენის და მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალებთან სათანადო მოლაპარაკებას, რომ მოკლე დროში მოწყობილ იქნეს შერეული კომისია, რომელსაც უფლება ექნება გაემგზავროს საქართველოში და ქართველ ხალხის ნამდვილი ნება-სურვილი მართველობის ფორმის შესახებ გამოარკვიოს თავისუფალი რეფერენდუმის ე. ი. სახალხო კენჭის ყრის საშვალებით.

სოც. გაზეთები დიდი თანაგრძნობით შეხვდენ კომისიის დაარსებას საქართველოს შესახებ, რომელმაც ეს საკითხი რეზოლიუციების სფეროდან პრაქტიკულ მოქმედების სფეროში გადმოიტანა.

ბერლინელი «ფორვერტსი»—2 აგვისტოს ნომერში მაგ. სადაც მოთავსებულია ანგარიში კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისა, რომელმაც განიხილა საქართველოს საკითხი, შემდეგს სწერს ამ უკანასკნელის შესახებ «ჩხეიძემ ილაპარაკა (კონფერენციაზე) საქართველოს სოც.-დემ. სახელიერ. ... ...

ტა 200,000 კაცმა მაინც. სხვა ორატორთა შორის ილაპარაკა კ. ჩხეიძემაც, რომელმაც ვრცლათ გააცნო მუშათა ფართე მასსას საქართველოს ჭირ-ვარამი და ბოლშევიკების თავდასხმის ისტორია. მთელი ეს ზღვა ხალხი დიდის ტაშისცემით შეხვდა საქართველოს წარმომადგენელს და მხურვალე სალამით საქართველოს, რომლის მწარე ბედი დიდ თანაგრძნობას პოულობს მთელ ევროპის მუშათა კლასში.

ჩვენი წარმომადგენლები ვარშავაში.

რუსეთიდან გამოყოფილ სახელმწიფოებთან კავშირის გამბა და მათ შორის ერთგვარი სოლიდარობის დამყარება თვით მათი დღევანდელ მდგომარეობიდან გამომდინირეობს ისტორიული აუცილებლობით. ამით აიხსნება, რომ ჩვენს წარმომადგენლებს: კ. ჩხეიძეს და ნ. რამიშვილს ვარშავაში მეტათ კარგათ შეხვდენ და მათ დიდი ყურადღებით მოუსმინეს საზოგადოების ყველა წრეებმა...

ჩასვლისთანავე ჩვენმა წარმომადგენლებმა ინახულეს და მოხსენება გაუკეთეს სოციალისტურ პარტიას და მის საპარლამენტო ფრაქციას გააცნეს მათ საქართველოს ეხლანდელი მდგომარეობა და ბოლშევიკების შემოსევის შედეგი. შემდეგ ინახულეს მმართველი პარტიის (ვიტასის) საპარლამენტო ფრაქციის მეთაური, ინახულეს ზოგიერთი მთავრობის წევრები, მათ შორის პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და სხვ. ყველასაგან ის შთაბეჭდილება დარჩათ, რომ მათ დიდათ აინტერესებთ ბედი საქართველოსი ისე, როგორც ყველა სხვა რუსეთიდან გამოყოფილ სახელმწიფოების და მათ შორის კავშირის გამბა აუცილებელ და მორიგ პოლიტიკურ საკითხათ მიაჩნიათ.

19 ივნისს სოც. პარტიამ გამართა საჯარო კრება ვარშავის უდიდეს ზალაში, რომელიც ერთიანათ გაჭედილი იყო ხალხით და ბევრი გასასვლელებშიც იდგა. მოხსენებანი კ. ჩხეიძის და ნ. რამიშვილის დიდის ყურადღებით იქნენ მოსმენილი. დამსწრე მუშები დიდი ენტუზიაზმით შეეგებენ საქართველოს მოძმეების გამოსვლას და მხურვალე თანაგრძნობა გამოსთქვეს ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში. პოლონეთმა, როგორც ვიცით, საქართველოს დაპყრობა სოც. დაშინსკის წინადადებით უკვე დაგმო პარლამენტის დადგენილებით, ახლა ასეთივე რეზოლიუცია იქნა გამოტანილი კრებისაგან.

ვარშავის პრესაც დიდი ყურადღებით მოექცა ჩვენს საქმეს. საქართველოს შესახებ მიწოდებულ ცნობებს დიდი სიამოვნებით ათავსებდენ და თხოულობდენ შემდეგშიაც მათთვის ინფორმაციის მიწოდებას.

ვარშავაში არსებობს ხალხთა საზოგადოება, რომელშიაც შედიან რუსეთში ყოფილი ყველა ერის წარმომადგენელნი. ამ საზოგადოებას დღეს საკმაოთ დიდი გავლენა აქვს აქაურ პოლიტიკურ წრეებზე. თავისთავათაც მიზანი ამ საზოგადოების ჩვენთვის მეტათ სიმპატიურია. ამიტომ ჩვენებმა ინახულეს ეს საზოგადოება და მათაც გააცნეს ჩვენი საქმის მდგომარეობა.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა წრეები მთავრობიდან დაწყებული და მუშებით გათავებული, დემოკრატიული და ბურჟუაზიული, ჩვენ საკითხში ერთსულოვანი არიან და დიდის ინტერესებით ეკიდებიან კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხს საერთოთ. ჩხეიძემ გადასცა მათ ცნობა კავკასიის ერთა შეთანხმების შესახებ რამაც მათზე მეტათ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. მათ დიდი პოლიტიკური პერსპექტივები ეხატებათ წინ რუსეთისგან გამოყოფილ ერთა პოლიტიკურ კავშირის სახით და ფიქრობენ, რომ ასეთ კავშირში შევა უკრაინაც, როცა ის მოიპოვებს დამოუკიდებლობას.

ევროპის მუშათა შორის.

ლილის კონგრესი.

საფრანგეთის მუშების დიდი იმედი ქონდათ კომუნისტებს. ცნობილია, რომ ფრანგი მუშები მუდამ უკიდურეს მიმდინარეობას მისდევდენ, განსაკუთრებით სინდიკატებში. ამათში ანარქო-სინდიკალური მოძრაობა და ანარქისტული სულისკვეთება ყოველთვის დიდი იყო. მაგრამ რაც უფრო ძლიერდებოდენ ორგანიზაციულათ პროფ. კავშირები და მასსიურ ხასიათს ღებულობდენ, მით უფრო გადაღიოდენ მასიურ ბრძოლის მეთოდებზე და მკვირალა ფრაზების მაგიერ ნამდვილი საქმის გაკეთებაზე. უკანასკნელი ცდა ბოლშევიკებისა—ამის საუკეთესო დამამტკიცებელია. სოც.-დემ. პარტია კომუნისტებმა, როგორც იცით გათიშეს ისე, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმრავლესობა თვით დარჩათ. მაგრამ დღეს, როგორც სჩანს, ეს პარტიული უმრავლესობა გაუქრათ და ის ნაწილი, რომელიც შერჩა სოც. დემ. მიმდევრებს, დღეს უკვე ფაქტიურათ მუშათა ბევრათ მეტ მასსას აერთებს, ვინემ კომუნისტები.

ყოფილი ოპორტიუნისტების ფროსარის და კაშენის მეთაურობით დაწყებული გათიშვა მოსკოვის მეგობრებმა გადაიტანეს სინდიკატებში, სადაც შინაური ბრძოლა გააჩაღეს. ბრძოლა იყო იმის გარშემო, კავშირები «წითელ» მოსკოვს უნდა შეერთებოდენ, თუ ამსტერდამის პროფ. კავშირში დარჩენილიყვენ. მოსკოვის მომხრეები ამ უკანასკნელს აბრალებენ ოპორტიუნისტობას, გამყიდველობას და სხვ. მარა მოსკოვის მესამე ინტერნაციონალის დადგენილებამ მათ თავიდანვე მოუშხამა წყარო გამარჯვების. მან დაადგინა, რომ კავშირები სავსებით დამორჩილებოდენ პარტიას და ამით მოსკოვის ინტერნაციონალს, რომლის კარნახით უნდა ემოქმედნათ. მაგრამ ეს ეწინააღმდეგება საფრანგეთის სინდიკატების ძირითად ტრადიციას, რომელიც მდგომარეობს პარტიებისაგან დამოუკიდებლათ მუშაობაში, და რომელსაც «ამიენის ხასტიას» უწოდებენ, რადგან იგი ქ. ამიენში იქნა მიღებული.

როცა მოსკოვიდან ჩამოსულმა დელეგატმა ტომაზმა ეს ცნობა გადასცა ექსტერმისტებს, ასე ეძახიან მოსკოვის მომხრეებს, მათ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. «ამიენის ხარტიის» შეცვლა არ მიიღეს, მიმტანი კი თავის თანამდებობიდან გააძევეს, როგორც ასეთ რეზოლიუციაზე ხელის მომწერი. ამის შემდეგ ზინოვიევმა, და თვით ლოზოვსკიმ, რუს. პროფ. კავშ. ხელმძღვანელმა, ბევრი უქადაგეს დეპეშებით თუ წერილობით, თქვენთვის არ არის სავალდებულო რეზოლიუციაო, მაგრამ ვერაფერმა ვერ გასჭრა. ექსტესმისტებმა გადასწყვიტეს ლილის კონგრესზე დაესვათ საკითხი მხოლოდ ამსტერდამიდან გამოსვლის და მოხსნეს საკითხი მოსკოვთან შეერთების.

მაგრამ ლილში არც ეს ნახევრათ ბოლშევიკობა გაუვიდათ. სინდიკატთა უმრავლესობა დარჩა ერთგული ძველი პოზიციის და ძველი ხელმძღვანელების, ჟუოსი, მარრგეიმის და სხვ. ექსტერმისტების მეთაური მონატტი დამარცხდა არა მარტო ხმებით, არამედ იდეურათაც. პროფ. კავშირების ლილის ყრილობაზე გამოააშკარავდა, რომ მოსკოვის «კომისრებისაგან» ფროსარს დავალებული ქონდა ჟუო, მარრგეიმი და დიუძელენი მუშათა გამცემლებათ გამოეცხადებია, რომ რუსეთს მხოლოდ დანგრევა შეუძლია და არა აშენება რისამე, რომ იგი სიყალბით, მოტყუებით და მოსყიდვით ებრძვის მოწინააღმდეგეებს და სხვ. მონატტის ამის წინააღმდეგ სათქმელი არაფერი დაურჩა და მოსკოვის დაცვაზე მან ხელი აიღო. მან სოც. პარტიების და ამსტერდამის კავშირების კრიტიკით მოისურვა ფონს გასვლა. მაგრამ ცხადი იყო უნდა დამარცხებულიყო. ამ რიგათ ეს უკანასკნელი ცდა ევროპის მუშების გარყვნისა, ნაწარმოები ბოლშევიკებისაგან, მათ სამარცხვინოთ დათავდა და დღეიდან საფრანგეთის მუშებში მათი გავლენა კიდევ უფრო გაქრება. მოსკოვს უკვე ჩამოშორდა მათ თვალშიაც შარავანდედი რევოლიუციონერობის. ეა დაურჩა ორეოლი მხოლოდ დამანგრეველი ბარბაროსის.

საფრანგეთის რეაქციონერებსაც, რომელნიც სიხარულით ელოდენ ექსტერმისტების გამარჯვებას, და რომელთა აზრი აშკარათ გამოსთქვა გაზ. «ეკლერ»-მა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. საფრანგეთის მუშები შერჩენ უფრო სწორ და ბურჟუაზიისთვის უფრო საშიშ პოზიციას.

უმაღლესი საბჭოს სხდომეგი.

(8—13 აგვისტო)

მესამე წელიწადი სრულდება თითქმის ზავის ჩამოგდების დღიდან და მის საბოლოო სახეს მაინც ვერ ვეღირსეთ. ზავი ჯერ არ განხორციელებულა ცხოვრებაში. ყველგან სისხლის ღვრაც კი არ არის შეწყვეტილი. მართლაც განა სისხლის ღვარი ძლივს არ შეჩერდა ზემო სილეზიაში და განა ის ისევ არ იღვრის მცირე აზიაში? ცხადია დიდი ომით შერყეული ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ მოსულა რამდენიმეთ მაინც ნორმალურ მდგომარეობაში, ვერ ჩამდგარა რაიმე გარკვეულ კალაპოტში, ვერ შეუქმნია წონასწორობა. გამარჯვებულ სახელმწიფოთა სისტემატიური თათბირი მეორდება დრო და დრო, და ვერავინ იტყვის, როდის დაასრულებს ის თავის მუშაობას.

ერთი ასეთი—თათბირი იყო ამ აგვისტოს 8—13-მდე პარიეში. ეს თათბირი აღსანიშნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვია იმით, რომ ამდენხანს განზე გამდგარი ამერიკა კვლავ იღებდა მასში მონაწილეობას. მართალია მისმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას არ ეხება ის კითხვები, რომელთაც შიდაევროპიული მნიშვნელობა აქვსო, მაგრამ მაინც უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ამერიკის ნეიტრალობა დარღვეულია თვით მისი საბჭოს სხდომაზე დასწრებით და პირველ შემთხვევისთანავე ევროპის საქმეებში ჩარევასაც დაურჩება ადგილი. და ეს კი ბევრ სიურპრიზებს უმზადებს ევროპის ცხოვრებას და არსებითათ შეუძლია შესცვალოს მისი ძალთა განწყობილება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამერიკა ცალკე ზავით ეკვრის გერმანიას, ხოლო ვერსალის ხელშეკრულება უარყო. და რაც უნდა წააგავდეს ამერიკის ხელშეკრულება ვერსალის საზავო პირობას, სულ ერთია, ის მაინც სეპარატიულ ნაბიჯათ რჩება და მაშასადამე საერთო ზავის ბედს არ გაიზიარებს. ამიტომ ამერიკა ვერსალის ზავის საკითხში უფრო ხელფეხ გახსნილია, ვინემ სხვა მოკავშირეები.

მეორე თვისება ამ უმაღლეს საბჭოს სხდომებისა იყო გამოააშკარავება მოკავშირეთა შორის ინტერესთა და შეხედულებათა მრავალი წინააღმდეგობის, რის გამო თითქმის არც ერთ დასმულ საკითხის გადაჭრა საბჭოში არ მოხერხდა. პირველათ დაისვა ახლო აღმოსავლეთის საკითხი. საბერძნეთ-ქემალისტების ომი— ეს მსოფლიო ომის ერთი ნაშხეფია, და როგორც ასეთი, მისი გაგრძელებაა. ეს ომი გამოწვეულია სევრის ხელშეკრულების აუსრულებლობით და იმით, რომ მოკავშირენი მზათ იყვენ იგი ოსმალეთის სასარგებლოთ და მეზობელ ეცირე სახელმწიფოების—საბერძნეთის და სომხეთის ინტერესთა საწინააღმდეგოთ გადაესინჯათ.

სომხეთს ამ ქამათ არ შეეძლო იარაღით დაეცვა თავის ინტერესები ბოლშევიკების თავდასხმის გამო, ხოლო საბერძნეთმა მოგებული ომის შედეგები არ დასთმო და ხელახლა იარაღს მიმართა იმის მისაღებათ, რაც ზავმა მიაკუთვნა. როგორც ვიცით საბერძნეთის პირველი უკან დახევის შემდეგ მოკავშირეები შეეცადენ ომში ჩარეულიყვენ მოსაშვალეთ და ამ რიგათ საბერძნეთი დაეგოლიებიათ დათმობაზე. მაგრამ ეს ჩარევა ბერძნის მთავრობამ არ მიიღო. და ახლა ომი ისევ გრძელდება ბერძნების გამარჯვებით.

უმაღლესმა საბჭომ კვლავ დასვა ეს საკითხი ... და დიდი ბჭობის შემდეგ სთქვა ის, რომ არაფერი არ სთქვა. მან დაადგინა, რომ მოსარიგებლათ ჩარევა ჯერ-ჯერობით უადგილოა, ე. ი. ომი თავის ბედზე დასტოვა. ხოლო თავის თავი ნეიტრალურათ გამოაცხადა, და ამით განაცხადა, რომ სევრის ხელშეკრულების მას არც დაცვა შეუძლია, არც შესრულება; იგი ამას ანდობს უფრო დაინტერესებულ მხარეთა იარაღს. სამაგიეროთ ის იტოვებს ვაჭრობის თავისუფლებას ე. ი. იარაღის მიყიდვას ორივე მხარესთვის, რომელიც კი ამისთვის ფულს გაიღებს. ეს უკანასკნელი წმინდა ვაჭრული ინტერესის დაცვა და სხვის სისხლით გამდიდრება ფაქტიურათ ნიშნავს ინგლისის გამარჯვებას. საქმე შემდეგშია: ინგლისი ამ ქამათ დაინტერესებულია ოსმალეთის დასუსტებაში და ამ მიზნით საბერძნეთს უჭერს მხარს. საფრანგეთი და იტალიაც ექომაგებიან ქემალს. მარა იარაღის მიწოდება ქემალისთვის დღეს ძნელია, რადგან ის მოწყვეტილია კონსტანტინოპოლიდან და ზღვის ნაპირებიდან, გარდა შავი ზღვისა, სადაც საბერძნეთის გემები ნაპირებს უთვალთვალებენ. ხოლო საბერძნეთს კი გზა გახსნილი აქვს და ინგლისის ტეხნიკური საშვალებანი უხვად მიაქვს... ამ რიგათ საბჭო არარა გამოდგა, ინგლისი კი ძლიერი.

ისეთივე გადაუჭრელი დარჩა მეორე უდიდესი საკითხი: ზემო სილეზიის. მისი ვერც გაყოფა მოახერხეს, ვერც რომელიმე მხარესთვის მიკუთვნება.

ინგლისის წარმომადგენელმა ლოიდ ჯორჯმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ სილეზიაში სტატისტიკის მიხედვით ნემცები 5 მილიონზე მეტია, ხოლო პოლონელები 2 მილიონზე ნაკლები, რომ ესევე გამოჩნდა ხმის მიცემის დროს გერმანიამ 60% ხმა მიიღო; გაყოფა ოლქის, რომელიც ერთ ეკონომიურ მთელს წარმოადგენს, მან უსამართლოთ მიიჩნია და ამ ოლქის გერმანიისათვის გადაცემა აღიარა სამართლიანობის აუცილებელ მოთხოვნილებათ. თუ ეს ოლქი ჩამოვართვით გერმანიას, განაცხადა მან, იგი ეკონომიურათ საესებით დაუძლურდება და ვერც კონტრიბუციას გადიხდისო. საფრანგეთს იგი დაპირდა მხოლოდ გერმანიის თავდასხმიდან დაცვას, თუ ასეთი საჭიროება დადგება მომავალში.

საფრანგეთი კი მოითხოვდა პოლონეთის გაძლიერების აუცილებლობას, რადგან ეს სახელმწიფო ჩვენი შექმნილიაო და მისი აღორძინება ჩვენ გვაწევს ვალადო. ამიტომ ოლქის დიდი ნაწილი და, რასაკვირველია, სამრეწველო ტერიტორია სილეზიისა პოლონეთს უნდა გადაეცესო. წინააღმდეგობა აშკარა იყო. სპეციალისტებმა, რომლებსაც საქმის შესწავლა ქონდათ მინდობილი, თავის დასკვნებში თავის ქეყნის წარმომადგენლები ამართლეს. საფრანგეთის ექსპერტმა ბრიანის აზრი დაასაბუთა ფაქტიური ცნობებით, ინგლისისამ ლოიდ ჯორჯის, იტალია შუათანა ხაზს დაადგა, მაგრამ უფრო ინგლისს მიემხრო. ყველა ამის შემდეგ ეს სამთა კავშირი ან უნდა დარღვეულიყო, ან რაიმე კომპრომისი გამოენახათ. არსებითათ ინტერესები ინგლის-საფრანგეთის შეურიგებელი აღმოჩნდა. და აი რომ არ გათიშულიყვენ, ეს საკითხი თავიდან მოიშორეს და მისი გადაჭრა უდღეურ ერთა ლიგას გადასცეს, რომელშიც იგივე ანტანტა შედის და ნეიტრალური სახელმწიფოები.

პრესა და საზოგადოება ასეთ გამოსავლის მონახვით კმაყოფილი დარჩა. ამით აშკარა განხეთქილება და ალიანსის დარღვევა თავიდან აცილებულ იქნა ამ ქამათ მაინც.

მესამე საკითხი იყო რუსეთის დახმარება, ბრიანის წინადადებით ეს საქმე საერთაშორისო მასშტაბით უნდა იქნეს დასმული და ერთი საერთაშორისო კომიტეტი უნდა შესდგეს ყველა დახმარების მსურველ სახელმწიფოებისაგან, რომელიც ამერიკის კომიტეტის საშვალებით და მასთან ერთათ იმოქმედებს რუსეთში. ეს შეხედულება ყველამ გაიზიარა და სათანადო დადგენილებაც გამოტანილ იქნა. მაგრამ ამ ერთათ ერთ დადებით ნაბიჯსაც მალე ერთი დიდი დაბრკოლება გადაეღობა წინ. საბჭოთა რუსეთის კომისრებმა ამ დახმარებაში დაინახეს ახალი ინტერვენცია, ახალი თავდასხმა «მუშათა და გლეხთა მთავრობაზე» და მორთეს განგაში შიგნით, არიქა მტერი გვესხმისო, ხოლო ევროპაში რადიო აფრინეს: ყოველი სურსათის დარიგება საბჭოთა მთავრობის კონტროლის ქვეშ უნდა მოხდესო და უცხოელების ასეთ კონტროლს უარვყოფთო. ესე იგი ხალხთან ჩეკას დაუსწრებლათ ვერ გაგაჭაჭანებთო. ასეთ პირობებში დიდმა სახელმწიფოებმა თავის განზრახვა დახმარების შესახებ—განუხორციელებლათ ჩათვალეს.

ასე დათავდა აგვისტოს სხდომები უმაღლესი საბჭოსი.

რუსეთის მიმოხილვა.

ევროპას ხელი კრეს.

მთელი ევროპა აალაპარაკა რუსეთის უმაგალითო შიმშილმა, ყველა საზოგადოებრივი წრეები აამუშავა, მარა ბოლშევიკებს კი გზა და აზრი ოდნავ ვერ შეაცვლევინა. სურვილი ძალაუფლების შენარჩუნების მათში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა.

პირველ ხანს კრემლის ყაჩაღებსაც თითქო აუჩუყდა გული ხალხის ტანჯვის დანახვაზე და მათ მიმართეს ყველა მთავრობებს, ყველა წრეებს, ბურჟუებს, მუშებს, გლეხებს, და სხვ., რომ დამშეულ რუსეთის ხალხს მიშველებოდენ. ამან დაბადა საზოგადოებაში აზრი მათი ისევ გაადამიანების შესახებ და ბევრს ეგონა კიდეც, რომ ისინი შეურიგებელ პოზიციას დასთმობდენ, მახლობელ პარტიებს მაინც შეირიგებდენ და საერთო ძალღონით შეეცდებოდენ თავზე დატეხილი უბედურების შემსუბუქებას. მაგრამ ამ ხმების გავრცელება საკმაო აღმოჩნდა, რომ მათ წამსვე უკან დაეხიათ. არ გვინდა თქვენი პური, თქვენ პურთან ერთათ თვალებს აუხელთ საზოგადოებას ჩვენზედო, გადასწყვიტეს მათ. და როგორც კი გაიგეს, რომ ევროპის სახელმწიფოები სერიოზულათ აპირებენ რუსეთის დახმარების მოწყობას და მალე აქეთ ხალხსა და სურსათს გამოგზავნიანო, ბოლშევიკებმა მოსკოვიდან უშველებელი რადიო აფრინეს ევროპაში, რომლითაც ატყობინებდენ ყველა მთავრობებს, რომ საბჭოთა მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს უცხო სახელმწიფოების კანტროლს მათგანვე მოტანილ სურსათსანოვაგეს განაწილებაში, რომ ასეთ კონტროლს იგი მის შინაურ საქმეებში ჩარევათ ჩათვლის და სხვ. თვით ამერიკელებთან დღეს ყოველ შემთხვევაში მოლაპარაკება შეჩერებულია, რადგან მოსკოვის ელჩმა თანახმათ ინსტრუქციებისა შესაძლებლათ ვერ დაინახა ამერიკელები და მათი მუშაობა თავის კონტროლის გარეშე დაეტოვებინა ე. ი. «უჩეკოთ» პურის მოწოდება მშიერი გლეხისთვის დაენებებინა. «ჩეკა» კი ჩოგეხსენებათ ევროპიელებისთვის, რომელნიც დასახმარებლათ მოსულან, სრულიად მიუღებელია. ამრიგათ დაწყებული საქმე ირღვევა, ყოველ შემთხვევაში ფერხდება, ჭიანურდება, ხოლო მშიერი ხალხი იხოცება *). რა ვუყოთ, განა ხალხის გაქელტა არ ჯობია, ვინემ კომუნისტების რეჟიმის რაიმე მხრივ საფრთხეში ჩაგდება!?

*) უკანასკნელი ცნობებით უკვე შეთანხმება მოხდა კომპრომისის ნიადაგზე.

საკუთარი საშვალებით.

ბოლშევიკების მდგომარეობა იმდენათ შერყეულია, მათდამი უნდობლობა და სიძულვილი იმდენათ ძლიერია, რომ საკმარისია ოდნავ მოუშვან მოჭერილი სადავე, რომ ხალხის გულში დაგროვილმა ზიზღმა გადმოხეთქოს.

ამიტომ თავისუფალი ხალხის, ისეთი ხალის მისვლა დამშეულ რუსეთის სოფელთან, რომელსაც საბჭოთა «კაზიონი» აზრები არ უდევს თავში, ყოვლად დაუშვებლათ მიაჩნიათ და აი საკუ არი კურსანტებით, სტუდენტების კომუნისტურ წრეებით და სხვ. ასეთებით ცდილობენ ამოაშრონ ზღვა ხალხის უბედურების. ასეთი ხალხი დააძალეს «საზოგადოებრივ» კომიტეტს, რომელიც საწველ ფურათ უნდათ გაიხადონ კომუნისტურ მიზნებისთვის. მარა მათ კარგათ იციან, რომ ასეთი საშვალებებით ამ ზღვის ამოშრობა მხოლოდ ჰინჰრაქის არაკს უფრო გავს, ვინემ მართლა საქიანობას, ამიტომ ახლავე ილებენ ზომებს, რომ ხალხის რისხვა თავიდან აიცილონ, მისი უკმაყოფილება როგორმე თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს გადაახვიონ, მტრებათ და შიმშილის მიზეზით ისინი გამოიყვანონ. ესერების და მენშევიკების ლანძღვამ ახლა ერთი ორათ იმატა. შეთქმულობების აღმოჩენა ისე სწრაფად და ხელოვნურად ხდება, როგორც წმინდათა უხრწნელი გვამები ჩნდებოდა ნიკოლოზ მეფის დროს. ერთი სიტყვით მთელი მათი პოლიტიკა თვითმპყრობელ ჯალათის პოლიტიკის განმეორებაა, უფრო უხეში და უკიდურესი ფორმით, უფრო უტიფრათ და უსირცხვილოთ, ბეღიც ალბათ ნიკოლოზის ექნებათ მოსკოვის მბრძანებლებს.

მათ ერთი კიდევ შეუძლიათ ჯერ-ჯერობით: —ესაა ევროპას ჩამოშორება დახმარების საქმისაგან, როგორც ჩამოიშორეს უმაღლესი საბჭო მოკავშირეების იმით, რომ შემოწირულებათა განხორციელების და დარიგების კონტროლზე უარი უთხრეს. შეუძლიათ არ შეუშვან ესერები და მენშევიკები კომიტეტებში მაგრამ ხალხის გადარჩენა მათ ძალღონეს აღემატება... და გლეხობის შიმშილი გაფართოვდება, გაიზრდება, გამწვავდება უარესათ, ვინემ დღეს. თავისთავათ ცხადია გლეხობის ასეთ პირობებში ჩაყენებით ბოლშევიკებმა ფაქტიურათ მოსპეს უკანასკნელი კლასი საზოგადოების, რომელიც დღემდე დანგრეული არ იყო, რომელმაც რევოლიუციისგან მიწა მიიღო და ამის დასაცველათ ემხრობოდა ბოლშევიკების წითელ არმიელებს. დღეს ბოლშევიკებმა ეს საფუძველი წითელ არმიისა მოსპეს. ამიერიდან მათი ხიშტებიც ისეთივე მერყევი და გამქცევი შეიქნებიან, როგორც მშიერი გლეხები გარბიან პურის საძებნელათ. გარდა თავზე ხელაღებული გაყაჩაღებული ნაწილებისა, ჯარიც დაინგრევა და ამ რიგათ ბოლშევიზმი ჩავარდება იმ ორმოში, რომელსაც ის ასეთი გულმოდგინებით თხრის დღეს რუსეთში.

ახალ ავანტიურას აპირებენ.

ბოლშევიკებს იმ ცნობებით, რომელიც უცხოეთის პრესაშია მიღებული, შიმშილის ნიადაგზე სურთ ააშენონ თავის აგიტაცია ახალი თავდასხმითი ომების დასაწყებათ. საამისოთ უკვე შექმნეს ახალი მოსატყუებელი თეორია: შიმშილი სწერს «იზვესტია», დაანგრევს ევროპას, სადაც თურმე ამ დახმარება თუ არ დახმარებაის ნიადაგზე დიდი ბრძოლაა მუშებსა და ბურჟუაზიის შორის. პირველნი საბჭოთა პროპაგანდისტების სიტყვით, ერთიანათ საბჭოთა მთავრობის მხარეზე არიან და მას პურს უგზავნიან. მთავრობებს კი ეს არ სურთ და აი ჩვენ თუ აქედან შევუტევთ, მუშებიც გამოგვეხმაურებიან და ამ რიგათ ევროპას ავაფეთქებთო. ტროცკის თეორია პერმანენტელი რევოლიუციის ამით კვლავ იმარჯვებს ლენინის უკან დახევის თეორიაზე.

ამ ქადაგებას თან ახლავს მშიერთა ტალღების მიმართვა იმ მხრისაკენ, საითაც მათ სამხედრო მიზნები აქვთ განსახორციელებელი, რუმინიის სანაპიროებისა და კავკასიისაკენ.

საბჭოთა გაზეთებში უკვე იყო დაწვრილებით აღწერა სპარსეთის და რუმინიის სიმდიდრის, რომლითაც შეიძლება მილიონ მშიერების გამოკვება, თუ ისინი რუსის ხალხს ხელში ჩაუვარდება. მართალია ხალხს ეზიდებიან მხოლოდ საზღვრებისაკენ, იქ კი აპირებენ გაცვლის ნიადაგზე, პურის მოპოვებას, მაგრამ თუ ამას სხვა მიზანი არა აქვს, რა საჭიროა მშიერი ხალხის თრევა ათას ვერსზე სანოვაგის ადგილთან განა უფრო ადვილი არ იქნებოდა პურის მოტანა მშიერებთან?

მაგრამ აქ ქადაგებას მოსკოვის კომუნისტები იმიტომ ეწევიან, რომ ხალხის ყურადღება უცხოეთისკენ მიაპყრონ, ხალხი უცხოეთს შეატაკონ, და მოსკოვი მათი რისხვისაგან გადაარჩინონ.

მაგრამ ეს ხომ იგივე ცარიზმის პოლიტიკაა მხოლოდ უფრო უხეში ფორმით და უვარგისი საშვალებით წარმოებული? და განა ნიკოლოზ მეფეზე უარესათ არ წაიტეხენ ფეხს ამ ავანტიურით? დიახ წაიტეხენ, და ეს იქნება ხსნა რუსეთის და ჩვენი პატარა ერისაც. რაც მალე —მით უკეთესი.